



MES 2 21 0000115467



15/02/2021

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 3 თებერვალს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/82693743605?pwd=SlZvQVEyUUY3YkRGa2o2dzAwNmpUQT09>

Meeting ID: 826 9374 3605

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლებ  
ის მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

**მარიკა ზაქარეიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის-„კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, (საბჭოს მდივანი);

**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**ნატო მეტურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**ნიკოლოზ მესხიშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**ნათია კვიციანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**ქრისტინე მეფარიშვილი** - სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე თოხაძე** - ა(ა)იპ -საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**ნინო სტეფანიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**ანზორ მარკელია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**მაცვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**დაწესებულების წარმომადგენელი:**

**შპს - არსი:**

ნათია ნოზაძე - დირექტორი

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტი:**

მაია ხურცილავა

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგი**:

1. შპს არსისთვის - „ელექტრონული ბუღალტერია (კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა)“ /00990/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;  
წარმდგენი: მაია ხურცილავა, მაია აბდალაძე

1. შპს არსისთვის - „ელექტრონული ბუღალტერია (კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა)“ /00990/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ექსპერტმა მაია ხურცილავამ. მან თქვა, რომ შპს არსი არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ფუნქციონირებს 2007 წლიდან. პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „ელექტრონული ბუღალტერია (კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა)“ არის მომზადების პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 9 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში - 10, მოთხოვნილი რაოდენობა - 40, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. N4. ვიზიტი დისტანციურად განხორციელდა 2020 წლის 25 დეკემბერს Zoom ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. ვიზიტის მიზანიყო: „ელექტრონული ბუღალტერია (კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა)“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა ინტერვიუება ორგანიზაციის დირექტორთან, პროგრამის განმახორციელებელ პირთან, ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსის პირადი საქმე, დისტანციურ რეჟიმში დათვალიერდა მატერიალური და სასწავლო რესურსი, შემოწმდა შენობის მდგრადობის და სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ:

1.1 სასურველია დაწესებულებამ გამოკითხვაში ჩართოს მეტი პოტენციური დამსაქმებელი, გააკეთოს დასაქმების ბაზრის უფრო ფართო მასშტაბიანი კვლევა/ანალიზი, გამოიყენოს სხვადასხვა ელექტრონულ პორტალებზე გამოქვეყნებული ვაკანსიები და სხვ.

1.1 იმისათვის, რომ შრომის ბაზრის სუბიექტების/პოტენციური სოციალური პარტნიორების გამოკითხვა იყოს უფრო ეფექტური, სასურველია დაწესებულებამ კითხვარში შეიტანოს ღია კითხვები, რომელიც პოტენციურ დამსაქმებელს მისცემს საშუალებას ნათლად გამოხატოს რამდენად ითვალისწინებს პროგრამა მათ საჭიროებებს/მოთხოვნებს. ეს ხელს შეუწყობს პროგრამა მეტად მორგებული იყოს შრომის ბაზრის რეალურ საჭიროებას, ასევე კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

2.1 სასურველია მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ნათლად და მკაფიოდ განისაზღვროს მომსახურების საფასური. აღნიშნული დაეხმარება დაწესებულებას განსაზღვროს პროგრამის განხორციელების რისკები.

2.4 სასურველია დაწესებულებამ მიმართოს სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების მიზნით უფლებამოსილ ორგანოს შეფასებისთვის და დასკვნა წარმოადგინოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელ საბჭოს სხდომაზე.

3.4 სასურველია დაწესებულებამ მუდმივად მოახდინოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ინტრუმენტების ეფექტიანობის შეფასება და განვითარება.

შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა პროგრამასთან დაკავშირებით, სტანდარტების მიხედვით:

**ქვესტანდარტი 1.1.** წარმოდგენილი პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. როგორც გასაუბრებიდან გაირკვა, მათ პროფესიული პროგრამების განხორციელებასთან ერთად აქვთ გამოცდილება მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსების განხორციელების, მათ შორის ელექტრონულ ბუღალტერიაში. ამ მიმართულებით ისინი ჩართული იყვნენ სახელწიფოს მიერ დაფინანსებულ მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსების განხორციელებაში, სადაც მსმენელთა დიდი აქტივობა და ჩართულობა დაფიქსირდა.

დაწესებულებამ დამატებით ჩაატარა შრომის ბაზრის სუბიექტების/პოტენციური სოციალური პარტნიორების გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, ორგანიზაციამ შეიმუშავა მოკლევადიანი მომზადების პროგრამა. დაწესებულებას ამ ნაწილში მიეცათ რეკომენდაცია, რომელიც რეკომენდაციებში ასახა.

**ქვესტანდარტი 1.2** პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება „ელექტრონული ბუღალტერია (კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა)“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს. სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგებიდან და თემატიკიდან.

**ქვესტანდარტი 1.3** პროგრამაში მიზანი მკაფიოდ არის განსაზღვრული - პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა შეძლოს ელექტრონულ ბუღალტრულ პროგრამაში მუშაობა, პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაციის საფუძველზე მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში შეყვანა ანგარიშთა გეგმის გამოყენებით. მონაცემთა დაკორექტირება და შენახვა. პროგრამის სწავლის შედეგებია: პირველადი დოკუმენტების მონაცემების შეტანა კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში; კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მონაცემების რედაქტირება და მონაცემების შენახვა. შესაბამისად, დასტურდება პროგრამის მიზნის შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგთან.

**ქვესტანდარტი 1.4** პროგრამაში განსაზღვრულია დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლება და დაწესებულებას აპლიკანტთა შერჩევის ფორმა აქვს - გასაუბრება. აღნიშნული შეესაბამება კანონმდებლობას და მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია.

**ქვესტანდარტი 1.5** პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონეს. პროგრამა მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. პროგრამის დასრულების შემდეგ, მსმენელს შეუძლია პროგნოზირებად, მაგრამ ცვალებად სამუშაო გარემოში საკუთარი საქმიანობის მართვა, ერთგვაროვანი სამუშაო პროცესის ზედამხედველობა, საქმიანობის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლობის აღება.

**ქვესტანდარტი 1.6** პროგრამის სწავლის შედეგების ველში მოცემულია 2 სწავლის შედეგი. პროგრამა მსმენელს უვითარებს პრაქტიკულ უნარებს.

**ქვესტანდარტი 1.7** წინამდებარე პროფესიული მომზადების პროგრამა ეფუძნება „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ერთ-ერთ მოდულს. დაწესებულებას ეს პროგრამა არ აქვს ავტორიზებული, ამდენად პროგრამის განხორციელება სურს განხორციელების უფლების მოპოვების გზით. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 9 კვირას, ხოლო კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა შეადგენს მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 9 საათს.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

**ქვესტანდარტი 1.8** პროგრამაში გამოყენებულია პრაქტიკული სწავლის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მასწავლებელი ახდენს პროფესიული/პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას. კურსის მსმენელები ჯერ პროფესიული მასწავლებლის დახმარებით, ხოლო შემდეგ უკვე დამოუკიდებლად იმეორებენ, ხვეწენ და განივითარებენ სწავლის შედეგის ფარგლებში განსაზღვრულ კომპეტენციებს. წარმოდგენილ პროგრამაში გაწერილი სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მსმენელის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე დაწესებულება გეგმავს ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას.

**ქვესტანდარტი 1.9** პროგრამის ფარგლებში სწავლება განახორციელდება ელექტრონული ბუღალტერიის ერთ-ერთი პროგრამის სასწავლო ვერსიაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით.

**ქვესტანდარტი 1.10** პროგრამაში განსაზღვრულია თემატიკის შესაბამისი შეფასების მეთოდები, რაც გულისხმობს პრაქტიკული დავალებების შესრულების გზით შედეგის დადასტურებას. კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით, პრაქტიკული დავალებები განსაკუთრებით დაეხმარებათ მსმენელებს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევაში. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

**მეორე და მესამე სტანდარტებთან** მიმართებაში, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზები არ დაფიქსირებულა, ხოლო რეკომენდაციებზე უკვე ისაუბრა.

ექსპერტის აზრით, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმახორციელებელი ორი პირის ჩართულობით. წარმოდგენილია განმახორციელებელი პირების CV და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით პროგრამის განმახორციელებელ პირებს უდასტურდებათ კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება. შპს არსი არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც აღნიშნული პროგრამის განხორციელებას გეგმავს საკუთარ სასწავლო ბაზაზე ძირითადი სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. პროგრამისთვის გამოყოფილია ერთი სასწავლო აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით, მათ შორის სადემონსტრაციო საშუალებებით და კომპიუტერებით. სასწავლო გარემო იძლევა ერთდროულად 10 მსმენელის მიღების საშუალებას. აღნიშნულ სასწავლო გარემოში განხორციელდება პრაქტიკული მეცადინეობები.

დაწესებულებაში სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში

დაწესებულებაში სასწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული ფორმით, კომპიუტერებში დაინსტალირებულია სასწავლო ელექტრონული პროგრამა, რომელიც ხელმისაწვდომია მსმენელებისათვის,

რაც შეეხება უსაფრთხო გარემოს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „მშენ-ექსპერტის“ მიერ შემუშავებული შენობის მდგრადობის დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ შენობა მდგრადია და შესაძლებელია მისი უსაფრთხო ექსპლუატაცია. 2019 წლის 21 ნოემბერს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო ზედამხედველობის მიერ შემოწმდა დაწესებულების სახანძრო-ტექნიკური უსაფრთხოება, რომლის ფარგლებში გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მიეცა რეკომენდაცია სავალდებულო ღონისძიებების განხორციელების შესახებ, განხორციელების ბოლო ვადად განესაზღვრა 2020 წლის აგვისტო. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა შესრულების ანგარიში და სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარის შეძენის დოკუმენტაცია. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების ზომები და შესაბამისი ინსტრუქციები. შესყიდვის აქტების, წარმოდგენილი ანგარიშისა და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს უსაფრთხო გარემოში.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, რიგი ქვესტანდარტები არ ფასდება, თუ ორგანიზაციას არ აქვს შესაბამისი გამოცდილება, მაგრამ ვინაიდან ეს არის მოქმედი პროფესიული კოლეჯი, მას აქვს დიდი გამოცდილება და აცნობიერებს საკუთარ როლს და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, ახორციელებს მოკლევადიან პროგრამებს. ამ სტანდარტთან დაკავშირებით გაიცა ერთი რეკომენდაცია, რომ სასურველია დაწესებულებამ მუდმივად მოახდინოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ინტრუმენტების ეფექტიანობის შეფასება და განვითარება.

პრეზენტაციის ბოლოს ექსპერტმა წარმოადგინა ფოტო მასალა. ყურადღება გაამახვილა, იმ სახანძრო რეკომენდაციებზე, რაც ჰქონდა შესასრულებელი დაწესებულებას; მანათობელი მიმართულების მაჩვენებლები უნდა ყოფილიყო და არის დამონტაჟებული, სავაკუაციო გეგმა, რომელიც რეკომენდაციის შესაბამისად, გასწორდა, ანუ ის ასლები, რომელიც არ ჩაითვალა, დაწესებულებამ გამოასწორა და ასევე დაწესებულებამ შეიმუშავა უსაფრთხოების წესების მოდული, რომლის პრეზენტაციაც ჩაუტარდა თანამშრომლებს და კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს. ექსპერტმა წარმოადგინა აუდიტორიის ფოტოც, სადაც სწავლება მოხდება, ასევე კომპიუტერები, სადაც ჩატვირთულია ელექტრონული პროგრამები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არის მოთხოვნა ამ დარგის სპეციალისტებზე, ყველას სჭირდება ბუღალტერი და განსაკუთრებით ელექტრონული ბუღალტრული პროგრამის მცოდნე. დაინტერესდა კოლეჯი „არსი“ თუ თანამშრომლობს აქტიურად დამსაქმებლებთან, რომელ პარტნიორთან და როგორია ამ კუთხით მათი გამოცდილება. დაწესებულების დირექტორმა, ნათია ნოზაძემ უპასუხა, რომ მათ მოკლევადიანი ბუღალტრული აღრიცხვის, კერძოდ, ელექტრონული საბუღალტრო პროგრამაში მუშაობის ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ. ამ პროგრამას 2013 წლიდან ახორციელებენ არაფორმალური განათლების ფარგლებში, ჯანდაცვის სამინისტროს დასაქმების სააგენტოს პროექტის ფარგლებში, ჰყავთ ძალიან ბევრი კურსდამთავრებული, მათ შორის ამ პროგრამით ძალიან ხშირად ინტერესდებოდნენ მეწარმეები, რომელთაც სურდათ საკუთარი ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვის საქმიანობას გაძლიერებინებინ და თვითონაც ესწავლათ ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა. ასეთმა ათობით მეწარმემ გაიარა პროგრამა, რომლებსაც აქვთ უკვე შეძენილი ცოდნა და თვითონ მართავენ საკუთარ საბუღალტრო საქმიანობას. რაც შეეხება უშუალოდ კონტაქტებსა და პარტნიორობას, მათ აქვთ ძალიან აქტიური შეხება უშუალოდ კომერციულ საწარმოებთან, რომელთანაც ჩაატარეს აქტიური გამოკითხვა და აქვთ შედეგი, რომ ამ

მიმართულების პროგრამა არის ძალიან მოთხოვნადი. თუმცა, ისინი გაითვალისწინებენ ექსპერტის რეკომენდაციას, რომ კიდევ უფრო გააფართოონ ეს კვლევა და არა მხოლოდ 6 ორგანიზაციით შემოიფარგლონ. შენიშნა, რომ დაწესებულებამ კვლევაში არ ჩართო კურსდამთავრებული მეწარმეები, მათი ფირმები რატომღაც არ დაასახელა. კოლეჯის დირექტორის მოსაზრებით, ამ გადასახედიდან საჭირო იყო მათი ჩართვა და გაცილებით მასშტაბური იქნებოდა, უფრო კარგად წარმოაჩენდა ამ კვლევებს. კვლევაში ჩართეს რუსთავეში არსებული ძირითადი მსხვილი საწარმოები, მაღაზიები, სუპერმარკეტები, საწარმოები, რომელთა წამყვან ბუღალტრებთან და ფინანსურ მენეჯერებთან ჰქონდათ გასაუბრება. მათ კოლეჯს კურსდამთავრებულთა დასაქმების ნამდვილად მაღალი მაჩვენებელი აქვს, ფაქტიურად, არ ჰყავთ დაუსაქმებელი კურსდამთავრებული წლების მანძილზე. ასევე, სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებშიც განახორციელეს ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა 2018 წელს და ამ კურსდამთავრებულთა დასაქმებაც არის საკმაოდ მაღალი და კარგი შეფასებაც ჰქონდა ამ პროგრამის განხორციელებას. ასე, რომ მათ აქვთ საკმაოდ კარგი გამოცდილება და დარწმუნებულია, რომ ღირსეულად გაართმევენ თავს ამ პროგრამის განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირების ინფორმირებას, სოციალური ქსელი თუ აქვთ აქტიური. აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და სწრაფი დასაქმების შესაძლებლობას მისცემს ადამიანებს ეს პროგრამა, ამდენად, დაინტერესდა, კომუნიკაციის სტრატეგია თუ აქვთ და როგორ მოახდენენ ინფორმირებას. დაწესებულების წარმომადგენლმა უპასუხა, რომ ისინი სოციალური ქსელებში ძალიან აქტიურად ოპერირებენ, იყენებენ სოციალურ ქსელს, facebook გვერდს და ასევე მათ კურსდამთავრებულებთან ძალიან აქტიური კომუნიკაცია აქვთ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსაც და პროგრამის პედაგოგსაც. აქვთ კომუნიკაცია ყველა მათ კურსდამთავრებულთან და მოლოდინიც არის ამ პროგრამის მათ ბაზაზე დამატების, რადგან მოკლევადიან პროგრამაზე ყოველთვის ჰყავდათ მსმენელები. მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამებით კურსდამთავრებულების შრომის ბაზარზე გასვლა არის ძალიან აქტუალური და როცა იციან ქალაქში, რომ მათ წლების მანძილზე აქვთ გამოცდილება და ძალიან კარგი შედეგი აქვთ დადებული, ეს არ იქნება ახალი და არ დაჭირდება დიდი ძალისხმევა, მიმართვიანობა ისედაც აქვთ, რადგან ისინი აქტიურად მუშაობენ სოციალურ ქსელებით და ასევე პირადი სატელეფონო კონტაქტებით კურსდამთავრებულებთან, რომ იცოდნენ, რა ბედი ეწიათ, მოერგენ თუ არა შრომის ბაზარის მოთხოვნებს მათთან მიღებული ცოდნით, ეს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია და დიდ ყურადღებას უთმობენ დასაქმებაზე იყო თუ არა ორიენტირებული მათთან მიღებული ცოდნა. ამიტომ წლებია, მათ უწყვეტ რეჟიმში აქვთ სასერთიფიკატო პროგრამები.

საბჭოს წევრს, თორნიკე თოხაძეს, კითხვა ჰქონდა პროგრამის სახელთან დაკავშირებით. მარკეტინგულად კარგად აქვთ პროგრამის სახელწოდება შერჩეული „ელექტრონული ბუღალტერია“ კარგად ჟღერს, თუმცა შინაარსობრივად, მას ჰგონია, რომ საუბარია ბუღალტრული პროგრამების შესწავლაზე, ანუ საოპერაციო პროგრამების შესწავლაზე, მაგალითად, როგორცაა ORIS, რისი ლიცენზიაც აქვთ და ამის საფუძველზე ახორციელებენ სწავლებას პროგრამაში. მას კითხვა ჰქონდა საბჭოს წევრებთანაც, პირდაპირი შინაარსით, კურსდამთავრებული საბუღალტრო პროგრამების სპეციალისტი იქნება თუ არა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის დასახელებაში ფრჩხილებში აქვთ დაკონკრეტებული, კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ მიდგომა არის მარკეტინგული, თუმცა ამავდროულად პროგრამის სახელწოდებაშივე არის კარგად განმარტებული, შეცდომაში შეყვანის რისკიც ნაკლებია და შინაარსიც კარგად ჩანს.



საბჭოს წევრ ნიკოლოზ მესხიშვილის კითხვა მდგომარეობდა შემდეგში, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი, მისი არსი, ბუღალტრული აღრიცხვის ზოგადი სტანდარტი, ძირითადი პრინციპები, მაგალითად, რა არის ბალანსი, ან ძირითადი საშუალებები, ისწავლება თუ არა თეორიულად. იმიტომ რომ, თავიდანვე, პირველივე თავში აქვთ კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამის დაინსტალირება, ანგარიშთა გეგმის მომზადება და სასტარტო ნაშთების შეყვანა სისტემაში, კიდევ არის დავალების შესაბამისად, პირველადი ინფორმაციის შეყვანა კომპიუტერულ პროგრამაში. ანუ, დაინტერესდა როგორ შეძლება ამ ყველაფრის პრაქტიკულად გაკეთებას თუ არ ფლობს შესაბამის თეორიულ ცოდნას.

დაწესებულების წარმომადგენლის პასუხი ამასთან დაკავშირებით იყო, რომ მათ ჰქონდათ ამაზე ფიქრი და მსჯელობა, ის ნაწილი, რომ გარკვეული წინაპირობა არ ჩანს ამ მოდულში და ნამდვილად სრულყოფილად შეძლებს თუ არა მსმენელი პირდაპირ დაჯდეს კომპიუტერთან და შეიყვანოს მონაცემები ბუღალტრულ პროგრამაში, მან თქვა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ ჩარჩო დოკუმენტში ეს მოდული არის წინაპირობის გარეშე და ესეც აძლევდათ უფლებას, აეღოთ წინაპირობის გარეშე და არ ჩაესვათ ბუღალტრული საფუძვლების ცოდნა წინაპირობაში და ამასთანავე მათი მიზანი იყო არა წამყვანი ბუღალტრის, არამედ მთავარი ფინანსური მენეჯერის ან მთავარი ბუღალტრის დამხმარის მომზადება. მან აღნიშნა, რომ ექსპერტმაც დაუსვა მათ განმახორციელებელს ეს შეკითხვა ვიზიტის დროს, რომლის პასუხი იყო, რომ იქნება თავდაპირველად ახსნა და შემდეგ მოხდება ინფორმაციის შეყვანა პროგრამაში. ეს იქნება მთავარი ბუღალტრის დამხმარე. მაგრამ, რაც შეეხება თეორიულ ახსნას, რა არის ბალანსი და ანგარიშის გეგმა, ეს იქნება პარალელურ რეჟიმში თეორიულად და შემდეგ პრაქტიკულად სწავლება.

ნიკოლოზ მესხიშვილი დაინტერესდა, რატომ არ არის გათვალისწინებული თეორიული ნაწილი პროგრამაში, თუ პრაქტიკასთან ერთად იგეგმება თეორიის მიწოდებაც, როგორცაა ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, არსი, ზოგადი სტანდარტი, ძირითადი პრინციპები, ბალანსი, ძირითადი საშუალებები და სხვა. არაა გამართლებული პირმა რუტინულად და რობოტულად სისტემაში შეიტანოს მონაცემები და იმის იქით, შინაარსობრივად არ იყოს გარკვეული. პირს პროფესიული ელემენტარული ცნობიერება უნდა აუმაღლოთ და სიყვარული პროფესიის და იქნებ მომავალში პროფესიული განვითარებაც მოისურვოს.

დაწესებულების წარმომადგენლის პასუხი ამასთან დაკავშირებით იყო ის, რომ ნამდვილად არ აქვთ შეზღუდვა და გულწრფელად რომ თქვას, მათ ძალიან ბევრი იფიქრეს. ერთი წლის წინ უნდოდათ ამ პროგრამის განაცხადის შემოტანა და 50 - ჯერ გადააკეთეს პროგრამა, დაიწყეს სამი მოდულის გაერთიანება და დაიწყეს ამ ელექტრონული პროგრამის თეორიული საფუძვლებით, მაგრამ პროგრამა დროში იზრდებოდა.

პოზიციონირების საკითხია, აღნიშნა თორნიკე თოხაძემ, სახელიდანაც რომ მივყვეთ, პოზიციონირებულია კარგად, მარკეტინგულადაც, მაგრამ ეს არის ოპერატორი და ეს კომპიუტერული პროგრამა იქნება ჩადებული თუ რაღაცა სხვა მონიტორინგის სისტემა, ეს არის ოპერატორი, რომელიც აკეთებს იმას, რასაც ეუბნებიან, ამაზეა საუბარი და ელექტრონული ბუღალტერია რასაც ჰქვია, ეს არ არის ელექტრონული ბუღალტერია, მაგრამ შეფუთვა მიმზიდველი იქნება და ამით ბევრი ადამიანი მიიზიდება, მაგრამ მოლოდინი შეიძლება გაუცრუვდეთ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, აქ არის ორი ალტერნატივა, ერთი, დაერქვას გადაშადაც და მოვთხოვოთ წინარე თეორიული ცოდნა, თუ თქვენ აპირებთ სწრაფად მისცეთ ეს უნარები და მეორე, იყოს მომზადება და პროგრამას დავამატოთ თეორიული საფუძვლები. ამ ორი ალტერნატივიდან ერთი უნდა აირჩიოს ორგანიზაციამ.



ბუღალტერიის ოპერატორი უნდა იყოს პროგრამის სახელწოდება და ყველაფერი გვარდება პროგრამაში, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე, დაამატა თორნიკე თოხაძემ.

ნათია კვიციანიმაც გამოხატა აზრი და თქვა, რომ საფუძვლების გარეშე, 9 კვირაში ვერ მომზადდება ადამიანი, ელექტრონულ ბუღალტერიაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უნდა იყოს წინარე განათლება ან ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება, რომ ამ შინაარსის და დასახელების პროგრამა იქნეს დამლეული ან პროგრამას სახელი უნდა ჰქონდეს სხვანაირი და თავიდანვე იყოს გასაგები, რომ ეს არ არის ბუღალტერია და ზუსტად ის არის, რაც დაკონკრეტებულია პროგრამის მეორე ნაწილში, ფრჩხილებში.

ვერ გამოდის ინფორმაციის სწორად მიწოდება სამიზნე ჯგუფზე აღნიშნა საბჭოს თავმჯდომარემ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მოთხოვნად დარგის პროგრამაა. გასაგებია, რომ კურსდამთავრებულები დასაქმდებიან, კარგი საქმეა, მაგრამ რაღაცის დაზუსტებაა საჭირო და ცენტრის და ექსპერტის პოზიციის მოსმენას ისურვებდნენ მხოლოდ ამ საკითხთან დაკავშირებით.

ნანი დალაქიშვილიმა ითხოვა, რომ სიტყვა გადაეცათ დარგის ექსპერტისთვის, ქალბატონი მაიასთვის, რადგან დარგის სპეციალისტმა უნდა მოახდინოს პროგრამის დასახელების, სწავლის შედეგების და თემატიკის თანხვედრის შეფასება. მან უნდა მოახდინოს ამის იდენტიფიცირება. ამაზე დასკვნაში არ იყო ნამდვილად ყურადღება გამახვილებული და საბჭოს წევრების კითხვებიდან და მსჯელობიდან გამომდინარე, რაც დაისვა საბჭოზე, იქნებ მან თავისი მოსაზრებები დაგვიზუსტოს ამ თემებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა თქვა, რომ ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელთან ჰქონდა ამაზე საუბარი და გაიზიარა არგუმენტი ამასთან დაკავშირებით, რომ პროგრამა დროში ძალიან იზრდებოდა და შესაბამისად, უკვე დაინტერესებაც დაიკლებდა და ასევე, როგორც თვითონ აღნიშნეს, ამ პროგრამას მოდულში არ აქვს დაშვების წინაპირობა, მაგრამ სწავლების პერიოდში, ყოველკვირეული დატვირთვის დროს, ინფორმაციის მიწოდება მოხდებოდა. ასევე მას ჰქონდა მოსაზრება დონესთან დაკავშირებით და ესაუბრა ცენტრის წარმომადგენელს, ქალბატონ მაია აბდალაძესაც ამასთან დაკავშირებით. მას, ჰქონდა განცდა, რომ სასწავლო თემატიკის აწყობა ისე იყო, მოდული ისე იყო გადმოტანილი, რომ შეიძლებოდა ეს ყოფილიყო მესამე დონე, მაგრამ დონის განსაზღვრაში არ ერევა და დაეყრდნო დაწესებულების განმარტებას, რომ ეს იყო კონკრეტულად, საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა, ამას ადასტურებს ნამდვილად. შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ დაკონკრეტდეს სათაური, ამასთან დაკავშირებით, მისი მოსაზრება არის, ის რომ პროგრამაში სასურველია მივცეთ საშუალება წინაპირობის გარეშე ჩაერთონ, უბრალოდ მათ ჰქონდეთ ინფორმაცია, რომ ისინი იქნებიან ოპერატორები. მან აღნიშნა, რომ ვიზიტზე გარკვეული პერიოდი ამასთან დაკავშირებით იყო დისკუსია. ვინაიდან შინაარსი არ ეწინააღმდეგებოდა და შედეგზე გადის ნამდვილად და ხარვეზს ამაზე ვერ დაწერდა, ვინაიდან თემატიკა, სწავლების მეთოდები ნამდვილად უზრუნველყოფს შედეგის მიღწევას, იმას, რომ კურსდამთავრებული შეძლებს ბუღალტრულ პროგრამაში მუშაობას. სახელი და შინაარსი შესაბამისობაშია, რადგან დაკონკრეტებულია ფრჩხილებში და მთლიანად ერთიანობაშია. თუმცა ისაუბრეს ამ თემასთან დაკავშირებით ვიზიტის ფარგლებშიც. თეორიული საკითხებს, რაც ბატონმა ნიკოლოზმა წამოწია, საკმაოდ დიდი საკონტაქტო საათები დაეთმობოდა, რაც გაზრდიდა პროგრამის ხანგრძლივობას.

ნათია კვიციანიმაც აღნიშნა, რომ მას პროგრამის სახელზე მეტად პრობლემად მიაჩნია პროგრამის ხანგრძლივობა, რომ ვერაფრით ვერ დაეთანხმება იმ იდეას, რომ 9 კვირაში შეიძლება ბუღალტერი მომზადდეს. მას თორნიკე ჯოხაძემ უპასუხა, რომ ეს ბუღალტერი კი არა

რეალურად ოპერატორია და შეიძლება მოამზადო, არა მარტო ბუღალტრულ პროგრამაში, არამედ ICT პროგრამაში, უფრო რთულ პროგრამაშიც კი, თუმცა პრობლემა ისაა, რომ პროგრამის სახელწოდებიდან არ იკვეთება რომ ოპერატორზეა საუბარი.

ეს არის ტექნიკურად შემსრულებელი, აღნიშნა ექსპერტმა, ინფორმაციების შეყვანა, მას მეტი არაფერი ევალება.

საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, რომ დონესთან მიმართებით ექსპერტის და ცენტრის პოზიცია საინტერესო იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სათაურში ჩანს, რომ ეს არის საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა და არა ბუღალტერი, დამხმარე ან ოპერატორი, რომელმაც უნდა შეიყვანოს ინფორმაცია პროგრამაში, რაც ორგანიზაციებს ძალიან სჭირდებათ და მათ ძალიან ბევრი თვე დახარჯეს იმისთვის, გამოერკვიათ როგორი პროგრამა სურდათ და დაკონკრეტდნენ იმაზე, რომ ბუღალტრებს კი არ ამზადებენ, არამედ ოპერატორებს, დამხმარეებს და იმიტომ სათაურში ფრჩხილებში ჩაწერეს, რომ უფრო კარგად ასახულიყო. ეს არის ელექტრონულ პროგრამაში მუშაობა და არა ბუღალტერი. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ამ განმარტების მიხედვით რამდენად შესაძლებლად მიაჩნიათ პროგრამის სახელის პირველი ნაწილის მოშორება და ფრჩხილებში რაც არის იმის დატოვება. კოლეჯის დირექტორმა დაადასტურა, რომ შესაძლებელია.

ექსპერტმა თავისი მოსაზრება დააფიქსირა ამასთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ ერთდღიანი ვიზიტის ფარგლებში რაც დაასკვნა, კონცეპტუალურად პროგრამა მათ აგებული აქვთ ისე, რომ ისინი უშვებენ კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მომუშავე ტექნიკურ პერსონალს და ის ემხრობა მოსაზრებას, რომ სახელში მოხდეს მოდიფიცირება, ასევე პროგრამის დონე განისაზღვროს მესამე. დაწესებულებასაც ასე აქვს სამიზნე ჯგუფი გათვლილი, რომ მოიზიდავს, მათ ამის გამოცდილებაც აქვთ.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლანა გაჩეჩილაძემ განმარტება გააკეთა, მან თქვა რომ პროგრამის დონე, როგორც იცით, განისაზღვრება შინაარსობრივი მხარიდან და სწავლის შედეგებიდან. მეორე სწავლის შედეგია - კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მონაცემების რედაქტირება და მონაცემების შენახვა, თემატიკაშიც არის მსგავსი ჩანაწერი - ანგარიშების ნაშთებში ცდომილების დანახვა, აღმოჩენა და დადგენა. ანუ, პირი საკუთარი საქმიანობის ფარგლებში, თვითონ მართავს ამ შინაარსიდან გამომდინარე და ცდომილებასაც აღმოფხვრის. გარკვეული დამოუკიდებლობის დონე ამ პირს აქვს და აქედან გამომდინარე, ვინაიდან პირს აქვს ასეთი დამოუკიდებლობა, მიზანშეწონილად ჩათვალა ცენტრმა პროგრამას განესაზღვროს მეოთხე დონე. პროგრამის მიხედვით პირი არ ასრულებს რუტინულ დავალებებს, თვითონ ახერხებს ცდომილების აღმოჩენას და მერე გასწორებას, რაც დამოუკიდებლობის ხარისხს ნიშნავს ცენტრისთვის. დარგობრივად, ფიქრობს, რომ თავისი შინაარსით, ეს არ არის მესამე დონე. მეხუთე დონეს რა თქმა უნდა ეს არ შეესაბამება და იმიტომ ცენტრმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ეს არის მეოთხე დონის შესაფერისი, მეორე შედეგიდან გამომდინარე და აღნიშნული თემატიკიდან გამომდინარე.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ 131-ე დადგენილების მიხედვით, საბჭოს შესაძლებლობა აქვს უარი უთხრას პროგრამის განხორციელებაზე ან მისცეს ერთთვიანი დამატებითი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. ვინაიდან საბჭომ ჩათვალა, რომ გამოუსწორებელი აქ არაფერი არ არის, გადაწყვიტეს დაწესებულებას მისცენ ერთი თვის ვადა,

რომ ეს მცირე დეტალი, სათაური შეასწორონ და ასევე სასურველია, როგორც, საბჭოს ბევრმა წევრმა ჩათვალა, მცირე თეორიული საფუძვლები ჩაიდოს პროგრამაში, რასაც, როგორც აღნიშნეს, ისედაც აკეთებენ.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა გადაწყვეტილებას და თქვა, რომ სიამოვნებით გაითვალისწინებდნენ საბჭოს რეკომენდაციებს და წარმოადგენენ პროგრამას ისეთი სახით, რომ იქნება საბჭოსთვის მისაღები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დაწესებულებისათვის ხარვეზის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადის მიცემის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 9**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

მიეცეს დაწესებულებას ხარვეზის გამოსწორების საშუალება პროგრამასთან დაკავშირებით ერთი თვის ვადით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, 17:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა

